



საია- აჭარის ტელევიზიაში სარედაქციო დამოუკიდებლობა საფრთხეშია

მედიამში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აჭარის ტელევიზიის დირექტორმა გიორგი კოხრეიძემ ნათია ბოიძეს სარედაქციო პოლიტიკისგან ჩამოშორება მოსთხოვა და ტელევიზიის სხვა ჟურნალისტების მიმართ აგრესია გამოიჩინა.

საია მიიჩნევს, რომ დაუშვებელია ჟურნალისტის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა, მათ შორის დირექტორის მხრიდან.

გვსურს საზოგადოებას შევახსენოთ, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებისა და განსაკუთრებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მაუნყებლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო, ტელევიზია სარედაქციო პოლიტიკის [შეცვლის საფრთხის წინაშე იდგა](#).

ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება [მოუწოდებდა](#) აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს დირექტორად შერჩეული ყოფილიყო ისეთი პირი, რომლის დირექტორობის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პერიოდში უზრუნველყოფილი იქნებოდა ჟურნალისტთა სარედაქციო დამოუკიდებლობა. არჩეულის დირექტორის - გიორგი კობრეიძის არჩევასთან დაკავშირებით კი არაერთი კითხვა არსებობს.

მოვუწოდებთ აჭარის ტელევიზიის დირექტორს უზრუნველყოს აჭარის ტელევიზიის თანამშრომლების სარედაქციო დამოუკიდებლობა.

საია გამოხატავს მზადყოფნას, დაიცვას თითოეული ჟურნალისტის უფლება.